BUND
FRIENDS OF THE EARTH GERMANY

კლიმატის ცვლილებების პოლიტიკაში მონაწილეობა ონლაინ რეჟიმში

სახელმძღვანელო დაინტერესებული მხარეების ციფრულ ფორმატში მონაწილეობისათვის

2020 აგვისტო

აბსტრაქტი

ვინაიდან, მოცემულ მომენტში, კლიმატის ცვლილებების პოლიტიკის ფარგლებში ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) ხელახალი განხილვა და განახლება მიმდინარეობს, 2020 გადამწყვეტი წელი არის გლობალური მოქმედებების გაძლიერების კუთხით, რათა მიღწეული იქნეს პარიზის შეთანხმების ფარგლებში დასახული მიზნები. თუმცა, პოლიტიკის გამტარებლები, გლობალური პანდემიით შექმნილ ახალ რეალობაში, სირთულეების წინაშე აღმოჩდნენ – ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განხილვის პროცესში დაინტერესებული მხარეებისა და სამოქალაქო საზოგადოების კონსტრუქციული მონაწილეობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მრავალი სინერგიული კავშირებისა და ურთიერთობების გამოვლენაში, დაწყებული ამბიციური კლიმატის ცვლილებების პოლიტიკისა და ღონისძიებების განხორციელებით, დამთავრებული პანდემიით მიყენებული ზარალის შედეგად სოციალურად სამართლიანი და ეკოლოგიური პირობების გაჯანსაღების საკითხებით, ასევე, საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებისა და პოლიტიკური ვალდებულებების შესრულების კუთხით.

იმ დროს, როდესაც პირისპირ შეხვედრები პრაქტიკულად შეუძლებელია, ონლაინ მონაწილეობის ფორმატი, თუ იგი სათანადოდ არის შემუშავებული და წვდომისთვის საჭირო მექანიზმებთან ერთად გამოიყენება, შეიძლება შესაფერი არჩევანი იყოს NDC-ის პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

ამ დოკუმენტში მოცემულია ონლაინ ფორმატებისა და ინსტრუმენტების გამოყენების ძირითადი ასპექტები და სახელმძღვანელო პრინციპები, რაც მონაწილეობის მიღების წარმატებული პროცესის განუყოფელი ნაწილია და უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, დაწყებისთანავე ინკლუზიურობას და, ამასთანავე, მხარდაჭერილია ინსტიტუციური ორგანოს მიერ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ონლაინ ფორმატის შერჩევისას სამოქალაქო საზოგადოების კონსტრუქციული მონაწილეობის უზრუნველყოფის კრიტერიუმების უმეტესობა არ შეცვლილა, კერძოდ, უნდა განხორციელდეს დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, დეტალურად უნდა დაიგეგმოს პროცესში ჩართვის მეთოდები და უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო ხელმისაწვდომობა. კარგად ორგანიზებული მონაწილეობითი პროცესის შექმნისთვის საჭიროა არსებულთა შორის საუკეთესო და ხელმისაწვდომი მეთოდების გამოყენება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობა[1].

1 *BUND (2019): სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა კლიმატის ცვლილებების ამბიციური პოლიტიკის ფარგლებში ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განხილვაში: შესაძლებლობები და გამოწვევები სამოქალაქო საზოგადოების ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განახლებისა და განხორციელების პროცესში . 2019: BUND Policy Paper. www.bund.net/cop25-zivilgesellschaft*

ქვემოთ მოცემულია ძირითადი პრინციპები, რომლებიც შემდგომ უფრო დეტალურადაა განხილული, რომლებიც კლიმატის პოლიტიკის ფარგლებში ხელს შეუწყობს ონლაინ მონაწილეობის პროცესის გაუმჯობესებას.

უწყვეტობა: კლიმატის ცვლილებების პოლიტიკის ფარგლებში შემუშავდეს ონლაინ მონაწილეობის ფორმატი, როგორც სხვადასხვა ეტაპებისგან შემდგარი უწყვეტი პროცესი;

ჩართულობა: შეიქმნას აქტიური ონლაინ დისკუსიების შესაძლებლობა, რაც ჩაანაცვლებს მოსაზრებათა უბრალოდ თავმოყრის პრინციპს;

გამჭვირვალობა: გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილების მისაღებად გამოიყენეთ ციფრული სივრცე, კლიმატის ცვლილებების პოლიტიკის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

მონაწილეობის მიღების ბოლოდროინდელი პროცესები მოიცავს სხვადასხვა ონლაინ ფორმატს და საშუალებას, მაგალითად, ვიდეოკონფერენცია ან ონლაინ კვლევები. თუ მონაწილეობის პროცესი სრულად ონლაინ რეჟიმში ხორციელდება, დაცული უნდა იქნეს ოფლაინ რეჟიმის ექვივალენტი კრიტერიუმი და ფორმატი – მთავარი განსხვავება ამ ორ ფორმატს შორის მათი განხორციელების ინსტრუმენტებია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია კლიმატის პოლიტიკის რუკაზე დაინტერესებული მხარეების ზუსტი ასახვა. შესაბამისი ორგანიზაციების იდენტიფიცირება შესაძლებელია ოფიციალური სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით. შეთანხმებული მეთოდები დეტალურად უნდა დაიგეგმოს და, ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თავისუფალი და შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა. დაინტერესებული მხარეების მიერ ერთობლივად შემუშავებული პოლიტიკის მიღება ხორციელდება ყველაზე შესაძლო და ხელმისაწვდომი ინკლუზიური თანამონაწილეობის მეთოდებით[2]. ზოგადად, ციფრული საშუალებებით შესაძლებელია მონაწილეობის პროცესის გაუმჯობესება, რაც წინამდებარე დოკუმენტში მაგალითების მეშვეობით არის ახსნილი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ყველა პროცესის ონლაინ რეჟიმში მარტივად გადატანა, ვინაიდან, შესაძლოა, რომ ზოგიერთი ჯგუფი პროცესს გამოეთიშოს, რაც განპირობებულია ვირტუალურ სივრცესთან მათი წვდომის შეზღუდული შესაძლებლობებით.

რა არის გაერთიანებული სამეფოს

კლიმატის ასამბლეა?

თემთა პალატის მიერ შექმნილი მოქალაქეთა კომიტეტი, რომელიც შეისწავლის, თუ როგორ შეიძლება გაერთიანებულმა სამეფომ სათბურის გაზების ნულოვან ემისიას მიაღწიოს 2050 წლისთვის.

ონლაინ საშუალებების გამოყენების კარგი პრაქტიკა

- სამეცნიერო ცოდნის და დისკუსიების ვიდეო კონფერენციების საბოლოო რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებლობას იძლევა

კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მონაწილეობის ზოგიერთი ონლაინ ფორმატი, რომელიც პანდემიამდე შემუშავდა, მოქნილი და შემოქმედებითი აღმოჩნდა. მათი გამოყენება პანდემიის პერიოდშიც გრძელდება.

ონლაინ პრაქტიკის კარგი მაგალითი უჩვენა გაერთიანებული სამეფოს ასამბლეამ, რომელიც მისი რეკომენდაციების საბოლოო ჩამოყალიბებას ახდენს ვიდეოკონფერენციების დროს გამოთქმული მეცნიერული მოსაზრებების საფუძველზე[3]. საფრანგეთის „მოქალაქეთა კონვენცია კლიმატის შესახებ“ (Convention Citoyenne pour le Climat) იყენებს ონლაინ ინსტრუმენტებს, როგორიცაა, ვიდეოკონფერენციები, რათა მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება თავისი საქმიანობის შესახებ და დეტალურად განმარტოს კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დაფინანსების საკითხები. კონვენციის წევრები, ძირითადად თანხმდებიან, რომ ეკომეგობრული გარემო მომავალში დადებით გავლენას მოახდენს ეკონომიკის ზრდაზე და გააუმჯობესებს შრომის ბაზარს, ამასთანავე, ხელს შეუწყობს ეკონომიკის აღდგენას პოსტ-პანდემიურ მსოფლიოში[4].

2 *იქვე.*
3 *https://www.climateassembly.uk/news/climate-assembly-uk-complete-its-work-path-net-zero-through-online-video-conferencing/ (23.06.2020)*
4 *https://www.mouvement-up.fr/articles/ou-en-est-la-convention-citoyenne-pour-le-climat/ (08.05.2020)*

საფრანგეთის მოქალაქეთა კონვენცია კლიმატის შესახებ

რა არის კონვენციის მიზანი?

მოქალაქეთა კონვენცია კლიმატის შესახებ პრეზიდენტის ინიციატივით შემუშავდა, მას შემდეგ რაც მას „ყვითელჟილეტიანთა საპროტესტო მოძრაობამ“ სათათბირო დემოკრატიის ფორმა შესთავაზა (“gilets jaunes”). სათათბიროს წევრებმა, საზოგადოებრივი სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით, უნდა ჩამოაყალიბონ პროექტი, რომლის მიხედვით, „საფრანგეთში, სათბური გაზების ემისია, 1990 წელთან შედარებით 40%-ით უნდა შემცირდეს, სოციალური სამართლიანობის სულისკვეთით“.

ონალინ შესაძლებლობების გამოყენების კარგი პრაქტიკა

- ვიდეოკონფერენციები და სხვა სახის ონლაინ შესაძლებლობები გამოიყენება რეკომენდაციების დეტალურად განხილვისთვის, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ღონისძიებების დაფინანსებასთან დაკავშირებით
- ონლაინ ფორმატში ხელმისაწვდომია გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების სახელმძღვანელო
- შუალედური და ფინალური შედეგები, ასევე, კონვენციის საკითხებზე დისკუსიების ვიდეო ჩანაწერი ხელმისაწვდომია ინტუიტურ ონლაინ პლატფორმაზე

პროექტის – „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება კლიმატის ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისთვის საქართველოში, კოლუმბიასა და უკრაინაში“ – ფარგლებში შეფასდა[5] მონაწილეობის პროცესები კლიმატის ცვლილებების სფეროში ადგილობრივი და ეროვნული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, ონლაინ თავისებურებების ჩათვლით. პროექტის მიზანია სამოქალაქო ორგანიზაციების მხარდაჭერა კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის ამბიციური პოლიტიკის განხორციელებაში. შედეგებმა უჩვენა, რომ მსოფლიოში მნიშვნელოვანი განსხვავებაა საზოგადოების ჩართულობისთვის გამოყენებული ციფრული ელემენტების მასშტაბებისა და ხარისხის თვალსაზრისით.

ქვემოთ მოცემულია კლიმატის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ონლაინ მონაწილეობის მთავარი პრინციპები, რომლებიც სამათავრობო ორგანიზაციებს სამოქალაქო საზოგადოების კრეატიულობისა და გამოცდილების მაქსიმალური გამოყენების საშულებას მისცემს, რაც კლიმატის პოლიტიკას უფრო ამბიციურს გახდის.

5 https://www.international-climate-initiative.com/en/details/project/strengthening-civil-society-in-the-implementation-of-national-climate-policies-in-georgia-colombia-and-ukraine-18_I_327-2963?iki_lang=en

1. კლიმატის პოლიტიკაში ონლაინ-ფორმით მონაწილეობის შემუშავება სხვადასხვა ეტაპებისაგან შემდგარი უწყვეტი პროცესის სახით

ონლაინ რეჟიმში ერთზე მეტი ვიდეო კოფერენცია ან ვებ-კითხვარი უნდა იყოს ჩართული. ამავდროულად, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პროცესის უწყვეტობა. კარგი ონლაინ მონაწილეობის პროცესი შემდეგი ეტაპებისაგან შედგება: **საგანმანათლებლო ფაზა – განხილვის ფაზა – გადაწყვეტილების მიღების ფაზა[6].**

1) საგანმანათლებლო ფაზა

საერთო ხედვის შექმნა სამეცნიერო ცოდნისა და კონტექსტის, ასევე, გადაწყვეტილების მიღების არსებული სივრცისა და წესების შესახებ

2) განხილვის ფაზა

ონალინ დისკუსიების გააქტიურების ორგანიზება, რომლებიც მონაწილეებს საკუთარი წინადადებების წარდგენის, მოსაზრებათა გაცვლისა და კომპრომისების პოვნის საშუალებას აძლევს

3) გადაწყვეტილების მიღების ფაზა

კლიმატის პოლიტიკასთან დაკავშირებული, ერთობლივად შეთანხმებული წინადადებების ფორმულირება და რედაქტირება და ამ მოქმედებათა შორის პრიორიტეტების განსაზღვრა.

ციფრულ ფორმატში მონაწილეობისთვის, რომელიც მოქალაქეთა ვირტუალური ასამბლეის სახით არის შექმნილი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგანმანათლებლო ფაზა, რადგან აღნიშნულ მონაწილეები ეცნობიან საბაზისო სამეცნიერო ინფორმაციას და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის კონტექსტს. მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ-მონაწილეობა ექსპერტთა მრგვალი მაგიდის მსგავს ფორმატში მიმდინარეობს, საგანმანათლებლო ელემენტებით დაწყება არსებული პროცესის აღქმის იდეალურ შესაძლებლობას წარმოადგენს. საგანმანათლებლო ფაზის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი არის მონაწილეობის პროცესის ფარგლებისა და მანდატის წარდგენა. იგი მონაწილეებს გააცნობს გადაწყვეტილებების მიღების არსებულ სივრცეს, რომელიც განსაზღვრულია სხვადასხვა (ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი) ასპექტებით, დადგენილი ბიუჯეტის და სამართლებრივი ჩარჩოს ჩათვლით. მონაწილეების დეტალური ინფორმირება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნაყოფიერი დისკუსიების გამართვ

ციფრულ ფორმატში საგანმანათლებლო ფაზის ორგანიზებისთვის საჭიროა მარტივად გასაგები ონლაინ-სახელმძღვანელოების უზრუნველყოფა, რაც საფუძველს შეუქმნის საკითხების განხილვის და გადაწყვეტილებების მიღების ფაზებს. ამასთანავე, საჭიროა ექსპერტების მოწვევა სამთავრობო ინსტიტუტებიდან და აკადემიური სფეროდან, ხოლო პროცესის ფარგლებისა და მანდატის გაცნობა ონლაინ პრეზენტაციებისა და ვირტუალური კითხვა-პასუხის სესიების მეშვეობით არის შესაძლებელი.

განხილვის ფაზის მიზანი კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული სურვილების ჩამონათვალის შექმნა არ არის. ამის ნაცვლად, მან მონაწილეებს საშუალება უნდა მისცეს: შეამოწმონ საკუთარი წინადადებები პრაქტიკაში; ერთობლივი ძალისხმევით გამოავლინონ პრიორიტეტები; და განსხვავებული ინტერესების არსებობის შემთხვევაში იპოვონ კომპრომისი. სათანადოდ შექმნილი ონლაინ განხილვის ფაზა მონაწილეებს საშუალებას აძლევს წარმოადგინონ საკუთარი წინადადებები, გაცვალონ მოსაზრებები, იპოვონ კომპრომისები და შექმნან ურთიერთშეთანხმებული პროექტები კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის რეკომენდებული სტრატეგიის ფარგლებში.

6 https://twitter.com/NetZeroUK/status/1250450504011984896/photo/1 (14.05.2020)

ციფრულ ფორმატში წარმატებული გადაწყვეტილების მიღების ფაზის შექმნა შესაძლებელია, როგორც კომერციული, ასევე, უფასო/ღია პროგრამული უზრუნველყოფის წყაროების გამოყენებით, რაც დოკუმენტების გაზიარებისა და ონლაინ ხმის მიცემის საშუალებას იძლევა. იგი მონაწილეებს საშუალებას მისცემს შეიმუშაონ და ერთობლივად შეასწორონ თავიანთი წინადადებები და პრიორიტეტები, რითაც სამთავრობო ორგანიზაციების მიერ წინასწარ დადგენილი პროექტებისა და გადაწყვეტილებების ნაცვლად, საკუთარ გადაწყვეტებს წარმოადგენენ.

ონლაინ მონაწილეობის ყველა ფაზაში საჭიროა თავიდანვე დაიგეგმოს კომბინირებული ონლაინ შესაძლებლობების და ფორმატის ფართო სპექტრის გამოყენება. ეს მონაწილეებს საშუალებას მისცემს ჩაერთონ კლიმატის პოლიტიკის შემუშავებისა და პრიორიტეტების გამოვლენის პროცესში და დაიცვან საკუთარი ინტერესები.

იდეალურ შემთხვევაში, სამივე ფაზაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ მეცნიერები და ექსპერტები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფენ ზოგად და სამეცნიერო ცოდნას წინადადებების ფორმულირების პროცესში. ონლაინ დისკუსიების დროს სამეცნიერი ფაქტებთან დაკავშირებით აზრთა სხვადადასხვაობის შემთხვევაში, ეჭვების აღმოფხვრა შეიძლება მოხდეს დამოუკიდებელი მკვლევარების მიერ.

მაქსიმალურად უნდა იყოს შესაძლებელი იმ მოქალაქეების წინადადებების ინტეგრირება, რომლებიც პროცესში ჩართული არ არიან, მაგრამ ონლაინ პროცესში საკუთარი წვლილის შეტანა სურთ. უაღრესად მნიშვნელოვანია გარე რესურსების მონაწილეებთან ისეთი გადამისამართება, რომ ისინი მმართვადი იყოს, როგორც რაოდენობის ასევე, საკითხის სირთულის შესაბამისად.

ეს ასევე ნიშნავს, რომ ონლაინ ფორმატის მომზადებისას უნდა შემუშავდეს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ციფრულ ტექნოლოგიებთან და ინტერნეტ ინფრასტრუქტურასთან მინიმალური წვდომის მქონე საზოგადოების ინტეგრირებას (ეს ეხება როგორც სოფლის მოსახლეობას, ისე მკვიდრ მოსახლეობას). პირველ ეტაპზე, საზოგადოების ინფორმირების დამატებითი აქტივობები (მაგ., კვლევები, შეხვედრები და სატელეფონო კონსულტაციები), დაინტერესებულ მხარეებს დაეხმარება, რომ ჩაერთონ და ღირებული წვლილი შეიტანონ მიმდინარე საკითხებში.

გარდა ამისა, სათანადოდ უნდა აღიჭურვოს პროცესში ჩართული ის პირები, რომლებსაც ტექნოლოგიურ საშუალებებთან წვდომა არა აქვთ. ამავდროულად, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს აღჭურვილობის გამოყენების პროფესიულ ენაზე დაწერილი, მაგრამ მარტივად გასაგები ინსტრუქციები.

ონლაინ მონაწილეობის პროცესის მთავარი ფაქტორი არის მთელი პროცესის განმავლობაში ტექნიკური მხარდაჭერის მარტივი ხელმისაწვდომობა.

2. აქტიური ონლაინ დისკუსიების ფორმატის უზრუნველყოფა მოსაზრებათა უბრალოდ შეგროვების ნაცვლად

წარმატებული ონლაინ მონაწილეობა ჩვეულებრივ დამატებით ღირებულებას მაშინ იძენს, როდესაც ინკლუზიურ და მსჯელობით ელემენტებს მოიცავს, მაგალითად, მონაწილეთა შორის დისკუსიებს, რათა მათ ერთობლივად გააკეთონ არჩევანი მრავალ ვერსიასა და კურსს შორის. აზრთა და წინადადებათა გაცვლა, კონკრეტული ღონისძიებების უარყოფის მიზეზებსა და მოტივებზე მსჯელობა, სივრცეს ქმნის კომპრომისისთვის, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კლიმატის პოლიტიკის მრავალგვარ მიმართულებებში პრიორიტეტების გამოვლენას ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ასეთი სახის ციფრული დისკუსიების ფორმატს მოდერატორობას უნდა უწევდეს დამოუკიდებელი თავმჯდომარე, იმგვარად, რომ მონაწილეებს შორის დრო და შესაძლებლობები სამართლიანად იყოს განაწილებული. ასეთი აქტიური ონლაინ დისკუსიებისთვის ფართოდ ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები არსებობს: კომერციული ვერსიების გარდა მრავალი ღია წყარო არის ხელმისაწვდომი მოდერირებული ონლაინ მრგვალი მაგიდის დისკუსიებისთვის, ჯგუფური განხილვებისა და კონფერენციებისთვის. მათში გათვალისწინებულია ჯგუფებში უფრო ხანმოკლე სესიების გამართვაც, რითაც მონაწილეებს მოცემული ასპექტების უფრო დეტალურად განხილვის საშუალება ეძლევათ. შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული გაჭიანურებული საუბრები, ხოლო შუალედური შედეგების ჩაწერა ონლაინ ანგარიშების, ბიულეტენებისა და ტაიმერების მეშვეობით მოხდება.

3. გამოიყენეთ ციფრული სივრცე კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობისა და გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

დახურულ კარს მიღმა პირისპირ გამართული მოლაპარაკებების ფორმატი და გადაწყვეტილების მიღების პროცესები ყოველთვის გამჭვირვალე არ არის. ეს მნიშვნელოვნად შეიძლება გამოსწორდეს ციფრული პლატფორმის გამოყენებით, რადგან მონაწილეობითი ფორმატის მანდატის, სტრუქტურისა და სახელმძრვანელოების, ასევე, მისი ყველა ფაზისა და შედეგის დაინტერესებული მოქალაქეებისთვის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ციფრული პლატფორმები იქნება გამოყენებული. ამის მიღწევა შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით არის შესაძლებელი:

მექანიზმების ფართო სპექტრის კომბინირება

დაგეგმეთ პროცესი იმგვარად, რომ უზრუნველყოთ ციფრული ტექნოლოგიების არმქონე ადამიანების მონაწილეობა

ციფრული ტექნოლოგიების არმქონე ადამიანების ჩართულობა

- საზოგადოების ინფორმირება დამატებითი აქტივობებით, კველევების, შეხვედრების და სატელეფონო კონსულტაციების ჩათვლით

ციფრული ტექნოლოგიების სფეროში არასაკმარისი ცოდნის მქონე ადამიანების ჩართულობა

- დარწმუნდით, რომ მონაწილეობის მიღება შესაძლებელია ‘სმარტფონების’ და მარტივი ელექტრონული მოწყობილობების მეშვეობით
- მონაწილეობის სრული პროცესის დროს უზრუნველყავით მარტივად ხელმისაწვდომი“ პირველადი დახმარების“ ტიპის ონლაინ მხარდაჭერა

წარმოდგენილი წინადადებების დამუშავებისა და განხილვის პროცესის შესახებ უზრუნველყავით გამჭვირვალე ინფორმაცია;

გაასაჯაროვეთ ინფორმაცია ონლაინ მონაწილეობის პროცესის შესახებ. კერძოდ, რომელი წინადადებები აისახა კლიმატის პოლიტიკის დოკუმენტში, რომელ წინადადებებზე ითქვა უარი და რა მიზეზით.

უზრუნველყავით აღნიშნული ინფორმაციის ვიზუალური ასახვა ადვილად ხელმისაწვდომი და ინტუიტური ონლაინ პლატფორმის საშუალებით, რაც შეზღუდული წვდომის მქონე მოქალაქეებს ციფრულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას აძლევს

პროცესის სტრუქტურის და შედეგების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

შექმენით ვიზუალურად კარგად აღქმადი და ინტუიტური პლატფორმა. მონაწილეობის პროცესის სტრუქტურის და სახელმძღვანელოების გამჭვირვალობის ფართო აუდიტორიისთვის უზრუნველსაყოფად საჭიროა:

- უზრუნველყოთ საგანმანათლებლო ბუკლეტები, ვიდეო რგოლები და სამეცნიერო კვლევების პრეზენტაციები
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების ჩატარება
- ონლაინ ვიდეოების და დისკუსიების ოქმების, შუალედური და საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

მოქალაქეთა ასამბლეამ, როგორიცაა, საფრანგეთის მოქალაქეთა კონვენცია კლიმატის შესახებ *(the French Convention Citoyenne pour le Climat)*, ასევე, ნიდერლანდების მრგვალი მაგიდა დაინტერესებული მხარეებისთვის (Dutch *Klimaatakkoord*)[7 8], გამოაქვეყნეს გადაწყვეტილების მიღების სახელმძღვანელოები, პროცედურები და ონლაინ სამუშაო ფაზაში შემუშავებული მასალები, კერძოდ, ბუკლეტები, ვიდეორგოლები, საგანმანათლებლო ფაზის სამეცნიერო პრეზენტაციები, ინტერვიუები ფასილიტატორებთან, მეცნიერებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე, ბიუჯეტის ხარჯების მიმოხილვა, დისკუსიების ვიდეორგოლები და ოქმები, შუალედური შედეგები და საბოლოო შედეგები/ შეთანახმებები. ციფრულ ფორმატში პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა გაცილებით მარტივია.

აღნიშნულ კონტექსტში გამჭვირვალობა განხილული უნდა იქნეს ფართო კონცეფციის სახით, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ონლაინ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ინტუიტური და თავისუფალი პლატფორმის გამოყენებით, არამედ, ასევე, პროცესის ვიზუალურად კარგად გამართულ და მარტივად გასაგებ ფორმატს.

ონლაინში ან პირისპირი შეხვედრის თანამონაწილეობითი ფორმატის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, თუ როგორ აისახა სამთავრობო პოლიტიკაში მათ მიერ მიწოდებული წინადადებები და, ასევე, რატომ მოხდა წინადადებების მოდიფიცირება ან უარყოფა.

DIALOGUEMOS SOBRE EL REGLAMENTO DE LA LEY MARCO SOBRE CAMBIO CLIMÁTICO IN PERU (მოდით ვისაუბროთ კლიმატის ცვლილების რეგულირების ჩარჩო კანონმდებლობის შესახებ პერუში)

რას ნიშნავს ეს?

ეს არის პერუში, 2000-ზე მეტი ადამიანის მონაწილეობით, კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში შეტანილი წვლილის შეფასებისა და თავმოყრის პროცესი. მოქალაქეებს მონაწილეობის მიღება შეეძლოთ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეთა ჯგუფების შეხვედრებში (ადგილობრივი მოსახლეობა, ახალგაზრდობა, მეცნიერები, კერძო სექტორი) სხვადასხვა რეგიონებში, ან შეეძლოთ ფოსტით გაეგზავნათ თავიანთი წინადადებები.

კარგი პრაქტიკა ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენებით

- შემუშავებული დოკუმენტის საბოლოო პროექტი ადგილობრივ მკვიდრთა ხუთ სხვადასხვა ენაზე არის ხელმისაწვდომი აუდიო ფორმატში
- პროცესის დოკუმენტაციის უმეტესი ნაწილი ხელმისაწვდომია ონლაინში
- ონლაინში ხელმისაწვდომია მოქალაქეებისგან მიღებული რეკომენდაციების რეცენზია და, ასევე, მიღებული ინფორმაციის შეფასების ინდიკატორები

ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს პერუში გამართული თანამონაწილეობითი პროცესი სახელწოდებით – *Dialoguemos sobre el Reglamento de la Ley Marco sobre Cambio Climático* (მოდით ვისაუბროთ კლიმატის ცვლილების რეგულირების ჩარჩო კანონმდებლობის შესახებ). მთავრობამ, კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით კანონმდებლობაზე მუშაობის პროცესში

7 https://www.klimaatakkoord.nl/ (10.7.2020)

8 *კლიმატის პოლიტიკის განხილვის პროცესში მონაწილეობისთვის ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს: ირლანდიის მოქალქეთა ასამბლეა საკითხზე "რა გზით შეუძლია სახელმწიფოს აქციოს ირლანდია ლიდერად კლიმატის ცვლილებებთან გამკლავების საკითხებში (https://www.citizensassembly.ie/en/), საზოგადოების მონაწილეობა ბადენ-ვიურტენბერგის ინტეგრირებული ენერგეტიკის და კლიმატის დაცვის კონცეფციაში (https://um.baden-wuerttemberg.de/)*

მიიწვია მოქალაქეთა დიდი რაოდენობა, ეთნიკური ჯგუფები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, და ამ გზით მათ კანონმდებლობის შემუშავებაში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობა მისცა. მოქალაქეებისგან წინადადეების მიღება ონლაინით იყო შესაძლებელი. ასევე, ონლაინ რეჟიმში გამოქვეყნდა შერჩევის კრიტერიუმები და გადაწყვეტილების მიღების მატრიცა, რომელიც აჩვენებდა შემოსული წინადადებებიდან რომელი აისახა ან უგულვებელყოფილ იქნა საბოლოო ტექსტში. აღნიშნული ტექსტები ადგილობრივ მკვიდრთა ხუთ სხვადასხვა ენაზე ითარგმნა, რაც ქვეყნის ენობრივ მრავალფეროვნებას მთლიანად ვერ მოიცავს, მაგრამ არსებული კურსი სწორი მიმართულებით ვითარდება და თანამოწილეობითი პროცესი, წინა პროცესებთან შედარებით, ბევრად არის გაუმჯობესებული.

მაშინ, როდესაც, დებატები მიმდინარეობს ეკოლოგიისა და სოციალურად სამართლიანი ეკონომიკის გაჯანსაღებაზე, რომლებსაც ზიანი მიადგათ 'COVID19' პანდემიის შედეგად, მთავრობები, რომლებმაც მოახერხეს და დანერგეს თანამონაწილეობითი (კლიმატის პოლიტიკაში) ქსელი და ონლაინ პლატფორმა, მიზნობრივი ინკლუზიური ონლაინ დისკუსიების ორგანიზების მიმართულებითაც გაცილებით უკეთესად არიან მომზადებული.

მაგილითისთვის განვიხილოთ ნიდერლანდების მთავრობის ინიციატივა, რომელიც *Klimaatakkoord*[9]-ის ონლაინ თანამონაწილეობის და მონიტორინგის პლატფორმას იყენებს,[9] სადაც ჩართულები არიან ექსპერტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. აღნიშნულ ფორმატში მიმდინარეობს მოსაზრებათა თავმოყრა და გაცვლა, მსჯელობა და გადაწყვეტილებების მიღება მნიშვნელოვან საკითხებზე. თუმცა, შესაძლოა, ონლაინ ინსტრუმენტები არ იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოების გარკვეული ჯგუფებისთვის, რაც დაბრკოლებას ქმნის მათი მონაწილეობის კუთხით. შესაბამისად, საჭიროა დამატებითი შესაძლებლობების მოძიება და პროცესში დანერგვა, მაგალითად, სატელეფონო გამოკითხვა და, ზოგ შემთხვევაში, პირისპირი შეხვედრების ორგანიზება.

დაინტერესებულ მხარეთა მრგვალი მაგიდის დისკუსია ნიდერლანდებში კლიმატის საკითხზე შეთანხმების მისაღწევად

რა პროცესია ეს?

ნიდერლანდებში, ხუთსექტორიანი მრგვალი მაგიდის ფორმატში, 100-ზე მეტი დაინტერესებული მხარე იყო ჩართული. მონაწილეობის მიზანი იყო ნიდერლანდებსა და ევროკავშირში სათბური გაზების ემისიების შემცირების მიზნის მისაღწევად საჭირო ღონისძიებებისა და პრიორიტეტული ქმედებების განხილვა.

კარგი პრაქტიკა ონლაინ ინსტურმენტების გამოყენებით

- ყველა მნშვნელოვან დოკუმენტთან დაკავშირებით, საკმაოდ დეტალური მასალა ქვეყნდება ვებგვერდზე: klimaatakkoord.nl და მათი გახნობა შეიძლება საძიებო სისტემის გამოყენებით
- აღნიშნული ვებგვერდი იყენებს ონლაინ მონაწილეობის და მონიტორინგის პლატფორმას, სადაც გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე მსჯელობისთვის ერთიანდებიან ექსპერტები და სამოქალაქო საზოგადოებისა ყველა სფეროს წარმომადგენლები

ნებისმიერ შემთხვევაში, ონლაინ ფორმატებს აქვს უშუალო შეხვედრების ('ოფლაინის') შევსების და მონაწილეობის გაუმჯობესების უნარი – ხარჯთეფექტურობის, მგზავრობის საჭიროებების, ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. იგი

9 https://www.klimaatakkoord.nl/ (10.7.2020)

ნამდვილად არის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის მინიმალურ დონეს კლიმატის პოლიტიკის შემუშავებაში ისეთი საგანგებო გარემოებების დროს, როგორიც ამჟამად შეიქმნა 'COVID19' პანდემიის შედეგად, რომელიც დაბრკოლებებს უქმნის ტრადიციული მონაწილეობის მეთოდებს, კერძოდ, პირისპირ ფიზიკურ შეხვედრებს. თუმცა აუცილებელია შემდგომი კვლევა, რათა სიღრმისეულად შეფასდეს ონლაინ მექანიზმების გამოყენებით კლიმატის პოლიტიკაში სამოქალაქო საზოგადოების აქტორთა ჩართულობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ასევე, აუცილებელია შეფასდეს ონლაინ ფორმატებისა და პირისპირ შეხვედრის მეთოდების ყველაზე ხელსაყრელი კომბინაცია.

Bund für Umwelt und Naturschutz Deutschland e.V. (BUND)
Friends of the Earth Germany
Kaiserin-Augusta-Allee 5
10553 Berlin, Germany
www.bund.net

Unabhängiges Institut für Umweltfragen e.V. (UfU)
Independent Institute for Environmental Issues
Greifswalder Straße 4
10405 Berlin, Germany
www.ufu.de

მთავარი რედაქტორი:
პეტრა კირბერგი
(პასუხისმგებელი პრესის შესახებ
გერმანის კანონის შესაბამისად)

საკონტაქტო პირები:
ფრანცისკ სპერფელდი
(Franziska.Sperfeld@ufu.de)

საკონტაქტო პირი:
სევერინ ეტლი
(severin.ettl@bund.net)

სარა კოვაჩი
(sarah.kovac@ufu.de)

კომპიუტერული დიზაინი:
Jan Klöthe

2020 აგვისტო

აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია Bund für Umwelt und Naturschutz Deutschland e.V. (BUND)-ის მიერ გარემოს საკითხების დამოუკიდებელ ინსტიტუტთან თანამშრომლობით (Independent Institute for Environmental Issues (UfU e.V.), დოკუმენტი შემუშავდა პროექტის – *„სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება კლიმატის ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისთვის საქართველოში, კოლუმბიასა და უკრაინაში“* – ფარგლებში. **www.bund.net/iki-projekt**

აღნიშნული პროექტი არის კლიმატის საერთაშორისო ინიციატივის ნაწილი. აღნიშნულ ინიციატივას მხარს უჭერს გერმანიის გარემოს დაცვისა და ბუნების კონსერვაციის და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტრო, გერმანიის ფედერალური პარლამენტის რეზოლუციის საფუძველზე. **www.international-climate-initiative.com**

პროექტის ხანგრძლივობა: 7/2018 – 6/2021

Supported by:

Federal Ministry
for the Environment, Nature Conservation
and Nuclear Safety

based on a decision of the German Bundestag